ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №46

დ. ასპინძა მაისი 2022 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") –შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" - (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.4. ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1. ერთის მხრივ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში შემსყიდველი), მერის, როსტომ მაგრაქველიძეს სახით და მეორეს მხრივ, სს ,,გრინვეი საქართველო" წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის თეონა ჭკადუას სახით (შემდგომში მიმწოდებელი), საქართველოს კანონმდებლობის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" 2015 წლის 17 აგვისტოს სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, ტექნიკური რეგლამენტის ,,სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებისა და ,,ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ford tranziti 150 LTD-ს სახელმწიფო ნომერით - QV049VQ გეგმიური ტექნიკური ინსპექტირების შესყიდვა - მომსახურებები ტექნიკური შემოწმებისა და ტესტირების მომსახურების სფეროში (CPV კოდი - 71631000) (შემდგომში - საქონელი/მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.2 მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულები მოქმედების განმავლობაში შემსყიდველმა მიმწოდებელს სერვის ცენტრში წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ავტომობილის ნაცვლად წარუდგინა/მოთხოვა მომსახურება სხვა ავტომობილი ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომობილის გარდა წარუდგინა/ მოთხოვა მომსახურების გაწევა სხვა ავტომობილზე, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება და შესმყიდველი ვალდებულია ფაქტობრივად გაწეული მომსახურებასთან, რომელიც დასტურდება ავტომობილის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ანგარიშით, დაკავშირებით გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი და მისი გაფორმებიდან 10 (ათი) კალედარულ დღეში გადაუხადოს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. აღნიშნული ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებსა გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (თუ პირი დღგ-ის გადამხდელია) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მხარეებს შორის ფორმდება კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკომომუკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

7. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. მომსახურების გაწევის ადგილია: სს ,,გრინვეი საქართველო"-ს ნებისმიერ სერვისცენტრში.

7.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმდინარე წლის 1 ივლისამდე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყონებლოვ გამოსწორება.

8.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.4. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.6. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 7.2 პუნქტში.

8.7. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

8.8. მიმწოდებელი ვალდებულია გასცეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების შედეგებსა და დასკვნას. ინსპექტირების ანგარიშის ფორმა გაცემული უნდა იყოს სსიპ - „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის" მიერ დადგენილი ფორმით.

8.9. მიმწოდებელი ვალდებულია ინსპექტირების შედეგის მიხედვით ინსპექტირების ცენტრის მიერ შევსებულ იქნას ინსპექტირების ანგარიში ელექტრონული სახით აკრედიტაციის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ფორმის შესაბამისად.

8.10. მიმწოდებელი ვალდებულია, თუ ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები და პირობები, რომლებიც კრძალავს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას, ინსპექტირება არ ჩათვალოს დადებითად გავლილად და მიმწოდებელი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეზე (მფლობელზე) გასცეს ინსპექტირების ანგარიში ხარვეზების მითითებით. ინსპექტირების ანგარიშში მითითებული ხარვეზებისა და პირობების აღმოფქვრის შემდეგ სატრანსპორტო სასშუალების მესაკუთრე (მფლობელი) წარუდგენს სატრანსპორტო საშუალებას ინსპექტირების ცენტრს განმეორებითი ინსპექტირების ჩასატარებლად.

8.11. მიმწოდებელი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალების განმეორებითი ინსპექტირებაზე წარდგენა უნდა მოხდეს პირველი ინსპექტირების დროს ხარვეზებისა და პირობების გამოვლენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ინსპექტირება ხორციელდება საერთო საფუძველზე.

8.12. მიმწოდებელი ვალდებულია, თუ სატრანსპორტო საშუალების განმეორებითი ინსპექტირება ხორციელდება იგივე ინსპექტირების ცენტრში, რომელშიც ჩატარდა პირველი ინსპექტირება, განმეორებითი ინსპექტირება ტარდება მომსახურების საფასურის გადახდის გარეშეინსპექტირების ანგარიშზე აღნიშნულ მხოლოდ იმ პოზიციებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს.

8.13. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9. ხარისხი

9.1. მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

10. პირგასამტეხლო ხელსეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
10.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
11.3. მხარე ვალდებულია 11.2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
11.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია (დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.)

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ასპინძის მუნიციპალიტეტი
მის: დ. ასპინძა მეფე თამარის ქ. N3
ს/კ: 223105155

_____

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი
როსტომ მაგრაქველიძე

მიმწოდებელი:

სს ,,გრინვეი საქართველო“
მის: ქ.თბილისი, უნივერსიტეტის №6
ს/კ 404867006
ს ს საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE39BG0000000269401700

Teona Chkadua
Digitally signed by Teona Chkadua
Date: 2022.05.18 15:54:28 +04'00'

კომერციული დირექტორი
თეონა ჭკადუა

ტელ:577544421
ელ. ფოსტა mtrapaidze@gwg.ge

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დ. ასპინძა მაისი 2022 წელი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის მაისში გაფორმებულ გამარტივებული შესყიდვის N46 ხელშეკრულებაში მიმწოდებელი სს ,,გრინვეი საქართველო'' არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი: რ. მაგრაქველიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: გ. მურადაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი: გ. ლაზარაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: თ. ზაზაძე